MINISTRY OF FOREIGN AFFAIRS OF DENMARK

PMCG Research

UNDP

**დეკემბერი, 2025 – ნოემბერი, 2026**

# GREENNOVATION აქსელერაციის პროგრამა

“Greennovation” აქსელერაციის პროგრამის მიზანია **ფოთის და ხობის მუნიციპალიტეტებში** მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერა მწვანე ან/და ციფრული ტრანსფორმაციისთვის. პროგრამაში მონაწილეობისთვის შეირჩევა 30 მონაწილე, საიდანაც 10 მონაწილე მიიღებს ფინანსურ მხარდაჭერას 180 000 აშშ დოლარის ოდენობის ფინანსური მხარდაჭერის ფონდიდან. ინიციატივა ხორციელდება გაეროს განვითარების პროგრამისა და დანიის მთავრობის ხელშეწყობით, "მწვანე მომავალი, უფლებები და სტაბილურობა" პროექტის ფარგლებში. პროგრამა მიმართულია მწვანე/ციფრული ტრანსფორმაციის გეგმების განხორციელებაზე, მათ შორის:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ენერგოეფექტურობა | ნარჩენების მართვა | ცირკულარული ეკონომიკა | ციფრული ინსტრუმენტების დანერგვა | რესურსების ეფექტიანობა | სხვა |

## პროგრამის ფოკუსი

პროგრამა მიმართულია ბიზნეს იდეებზე/გეგმებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ ბიზნესის მწვანე ან/და ციფრულ ტრანსფორმაციას. შერჩეული 30 მონაწილე მიიღებს 16 კვირიან აქსელერაციის კურსს, მენტორობასა და ტექნიკურ დახმარებას. აქედან, საუკეთესო 10 მონაწილე მიიღებს 10,000–25,000 აშშ დოლარის ფინანსურ მხარდაჭერას.

## რატომ უნდა ჩაერთოთ?

პროგრამა გთავაზობთ ცოდნის, მენტორობის და ფინანსური მხარდაჭერის ერთობლიობას - თქვენს ბიზნესში ინოვაციური იდეების და პრაქტიკების რეალიზაციისთვის.

## მონაწილეობის კრიტერიუმები

- იურიდიული პირები, რომლებიც დაფუძნებულები არიან საქართველოში, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.
- მეწარმე სუბიექტს აქვს ბიზნეს კავშირი (მაგ: საქმიანობის განხორციელება) ფოთის ან/და ხობის მუნიციპალიტეტთან.
- მეწარმე სუბიექტი აქტიურია სულ მცირე 1 წლის განმავლობაში.
- მეწარმე სუბიექტს არ აქვს მიმდინარე საგადასახადო დავალიანება, ასევე არ არის რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში.

## პროგრამის ეტაპები

- შერჩევა – განაცხადების განხილვა და ინტერვიუები.
- აქსელერაცია – 16 კვირიანი ტრენინგი და მენტორინგი.
- ფინანსური მხარდაჭერა – საკონკურსო დღე და გამარჯვებულების შერჩევა.
- განხორციელება – ფინანსური მხარდაჭერის ათვისების მონიტორინგი და შემდგომი ტექნიკური მხარდაჭერა.

## ვადები

**განაცხადების მიღების ბოლო ვადა:** 29 დეკემბერი, 2025, 23:59 საათი (თბილისის დროით).

**საინფორმაციო შეხვედრა:** 18 დეკემბერი 2025 წელი, 13:00 საათი (თბილისის დროით ონლაინ ფორმატში).

**პროგრამის დაწყება:** იანვარი, 2026 წელი.

**დამატებითი ინფორმაცია და რეგისტრაცია:**